სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
შემოწმების შესახებ

ინსპექტირების აქტი № 005548

ქ. თბილისი ჯ. ნიკიბაძის I შესახვევი №1 — 14 აგვისტო 2024 წ.
(აქტის შედგენის ადგილი) (თარიღი)

შპს „მიუნჭაუზენი" ს/კ 240912713 იუსტიციის მისამართი ქუჩის მუნიციპალიტეტი
(რეგულირების ობიექტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადი ნომერი,
სოფ. ზესტაფონი [redacted]
ობიექტის ხელმძღვანელის ან წარმომ[redacted]
ფაქტ. [redacted]

საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნები შეამოწმა ცხოვრების საფუძვლის კონტროლის
გენერალური ინსპექტორის [redacted] ამავე განყოფილების ინსპექტორები:
(დეპარტამენტის [illegible] საჯარო მოხელე[illegible])ის თანამდებობა, სახელი, გვარი)
შოთა ქურდის ხევ. საშუალოვადიანი
სწავლა-ვარჯიშების I განყოფილების სპეციალისტები
[redacted]

შემოწმების ჩატარების საფუძველი კარგმოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
(ბრძანება – რეგულირების ობიექტის შემოწმების შესახებ ან სხვა
აგვისტის 2024 წლის 07 აგვისტის DES624000000244 და 2024 წლის
შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი)
11 აგვისტის DES0240000002448 ბრძანებები

შემოწმებაში მონაწილეობა მიიღეს შპს „მიუნჭაუზენი"-ს დირექტორი [redacted]
(შემოწმებაში მონაწილეთა გვარი, სახელი, თანამდებობა – მისი არსებობისას)
[redacted]

შესამოწმებელი ობიექტის საქმიანობის ძირითადი მონაცემები შპს „მიუნჭაუზენი"-ზე
2005 წლის გადაწ. №0029 ცხოვრების საფუძვლის სარეგისტრაციო
(როდიდან მოქმედებს, გამოყენებული ნედლეული,წარმოებული პროდუქცია, საპროექტო და ფაქტობრივი სიმძლავრე,
დაახლოებით 25 წლის ვადით, საერთაშორისო მეუნჯეობის მიზნით.
გარემოს დამაბინძურებელი უბნები და მათი მდგომარეობის მოკლე დახასიათება, ტექნოლოგიური პროცესის მოკლე
დაახლოებით განსაზღვრული ფერადოვანი ქუჩის საფეხურ ფაუნის
აღწერა და ა.შ.)

და [illegible] [illegible]. ობიექტის ძირითადი [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible]-
[illegible] და [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

გამოვლენილი ნაკლოვანებები და დარღვევები ს [illegible] [illegible] ინსპექტირების
(დარღვევათა სრული ჩამონათვალი არსებობის შემთხვევაში)
აქტი №005548-ს დანართი №1. (4 ფურცელი)

მიწერილობებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა

ობიექტის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება

აქტს თან ერთვის დანართი: ინსპ. აქტი №005548-ს დანართი №1, 10-21 ივნისის [illegible] აქტები 43 ფურცელი,
[illegible]

მონაწილეთა ხელმოწერა:

# შემოწმების შესახებ ინსპექტირების 2024 წლის 14 აგვისტოს №005548 აქტის დანართი №1

ადგილზე განხორციელებული ინსპექტირებით და დოკუმენტაციის კამერალური დამუშავების შედეგად დადგინდა, რომ შპს „მიუნჰაუზენი"-ს მიერ არ არის შესრულებული 2005 წლის 30 დეკემბერს სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით გაცემული N0029 ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის გენერალური ლიცენზიით გათვალისწინებული პირობები და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმები. კერძოდ:

1. *<u>ლიცენზიანტის მიერ არ არის შესრულებული საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილების მე-8 მუხლის, მე-4 პუნქტის შემდეგი ქვეპუნქტები:</u>*

**„ბ.)" ქვეპუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვა.**

- შემოწმებით დადგინდა, რომ შპს „მიუნჰაუზენი" არ ახორციელებს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის სათანადოდ დაცვას, რასაც ადასტურებს ინსპექტირების პროცესში ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე გამოვლენილი დიდი ოდენობით უკანონოდ მოჭრილი ხის ძირკვები.

**„ბ.ა)" ქვეპუნქტის შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ტერიტორიის დაცვას უკანონო ნადირობისა და ტყით სარგებლობისაგან.**

- შემოწმებით დადგინდა, რომ შპს „მიუნჰაუზენი"-ს მიერ არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი ლიცენზირებული ტერიტორიის დაცვა უკანონო ტყითსარგებლობისაგან. კერძოდ, შერჩევითი წესით ტერიტორიის შემოწმებისას გამოვლინდა უკანონო ტყითსარგებლობის ფაქტები ტყემლოვანას სატყეოს №12, 14, 16, 17, 22, 28, 29, 30, 33, 39 და 40 კვარტლებში. სულ აღირიცხა **1052** უკანონოდ მოჭრილი ხის ძირკვი, საერთო მოცულობით **1492,38 მ³**. კერძოდ:

| | | ხეთა რაოდენობა | | | მოცულობა (მ3) | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სახობა | I | II | სულ | I | II | სულ |
| 1 | სოჭი | 143 | 3 | 146 | 431.34 | 5.24 | 436.58 |
| 2 | ნაძვი | 521 | 18 | 539 | 611.59 | 18.41 | 630 |
| 3 | რცხილა | 24 | 11 | 35 | 8.17 | 4.11 | 12.28 |
| 4 | წიფელი | 149 | 79 | 228 | 167.37 | 147.52 | 314.89 |
| 5 | ფიჭვი | 71 | 3 | 74 | 84.5 | 1.77 | 86,27 |
| 6 | ვერხვი | 7 | 17 | 24 | 3.89 | 8.29 | 12.18 |
| 7 | თხმელა | 2 | 0 | 2 | 0.18 | 0 | 0.18 |
| | **სულ** | **919** | **133** | **1052** | **1307.04** | **185.34** | **1492.38** |

**„ბ.ბ)" ქვეპუნქტის შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აღკვეთოს და შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე უნებართვო საქმიანობისა და სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ;**

- შპს „მიუნჰაუზენი"-ს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაცია შესაბამისი ორგანოებისათვის არ მიუწოდებია.

**„დ)" ქვეპუნქტის შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს დამტკიცებული სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება. შემოწმებით დადგინდა, რომ ლიცენზიის მფლობელს არ აქვს შესრულებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 ივლისის N 2-609 ბრძანებით დამტკიცებული მართვის გეგმით განსაზღვრული შემდეგი ვალდებულებები:**

- შპს „მიუნჰაუზენი"-ს არ აქვს განხორციელებული მონიტორინგის პროგრამის გრაფიკის შესაბამისად გასატარებელი ღონისძიებები;
- 2022-2024 წლებში რაიმე სახის სარეკლამო კამპანია ტურისტების და მონადირეების მოსაზიდად არ არის განხორციელებული;
- არ აქვთ მიწავაშლას და კარტოფილის ნათესები, რომლებიც განკუთვნილი უნდა იყოს ცხოველებისათვის დამატებითი საკვების უზრუნველსაყოფად;
- არ აწარმოებს ცხოველთა აღრიცხვის ჟურნალს ან/და დღიურს.

**„თ)" ქვეპუნქტის და დამტკიცებული მართვის გეგმის შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა, ხოლო ხანძრის საფრთხის შემთხვევაში, მიიღოს ზომები მის სალიკვიდაციოდ და საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სათანადო ორგანოებს;**

- ინსპექტირებით დადგინდა, რომ ლიცენზირებულ ტერიტორიაზე ქარისაგან მოთხრილ-მოტეხილი ხეებით ჩახერგილია გზის სხვადასხვა მონაკვეთი, რომელიც გაუწმენდავია, რაც ქმნის ხანძრის შემთხვევაში დამატებით საფრთხეს, ასევე ლიცენზიანტს ტყის დაცვის მუშაკთათვის არ აქვს შეძენილი რაციები საკომუნიკაციოდ (მობილური ქსელი ტერიტორიის უმეტეს ნაწილში მიუწვდომელია).

**„ო)" ქვეპუნქტის შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების დაცვა და შექმნას მისი მდგრადი გამოყენების პირობები.**

- შპს „მიუნჰაუზენი"-ს მიერ არ არის უზრუნველყოფილი ბიომრავალფეროვნების დაცვა, ტერიტორიაზე გამოვლინდა დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახეობის ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტი;

**„ჟ)" ქვეპუნქტის შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვა. მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების მდგრადი მართვისა და დაცვის გზით უნდა შენარჩუნდეს ან გაუმჯობესდეს აღნიშნული ტყეებისათვის ძირითადი მახასიათებლები. ლიცენზიანტის მიერ უნდა იყოს დოკუმენტირებული, თუ როგორ ხდება მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვის უზრუნველყოფა.**

- შემოწმებით დადგინდა, რომ ლიცენზიის მფლობელის მიერ არ ხდება ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყის, კერძოდ მდინარეების გასწვრივ 200 მეტრის სიგანის ზოლში მდებარე ტყეების, ასევე წითელი ნუსხის სახეობების გავრცელების არეალების დაცვა, შემოწმების შედეგად გამოვლენილია დიდი რაოდენობით ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტი;

**„რ)" ქვეპუნქტის და დამტკიცებული მართვის გეგმის შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია განახორციელოს ტყის მოვლის, მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის ღონისძიებები, რომელთა უზრუნველსაყოფადაც უნდა განახორციელოს მუდმივი მონიტორინგი. მავნებელ-დაავადებების მასობრივად გავრცელების შემთხვევაში, ინფორმაცია ოპერატიულად მიაწოდოს სამინისტროს.**

- შემოწმების პროცესში ლიცენზიის მფლობელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის მიზნით შესაბამისი სპეციალისტის

ჩართულობით განხორციელებული ტერიტორიის მუდმივი მონიტორინგის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია.

**„ტ)" ქვეპუნქტის შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს რომ ნარჩენები (გარდა ხე-ტყის დამზადების ნარჩენების დადგენილი წესით განთავსების შემთხვევისა) არ შეიძლება განთავსებული იყოს სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე.**

- შემოწმების შედეგად ლიცენზირებულ ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები: X-390851, Y-4632168; X-392249, Y-4631665.) ნანახი იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენები, კერძოდ პოლიეთილენის პარკები, პლასტმასის ჭურჭელის, კონსერვის ქილების და სხვა ნარჩენები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის დეპარტამენტი

ოქმი № 087440

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ

ქ. თბილისი ვე წიფლანაძის I შესახვევი №1 — 14 აგვისტო 2024 წ.
(ოქმის შედგენის ადგილი) (თარიღი)

ჭითმხალაგებლობის კონტროლის სამსახურის ცხოველთა სამყაროს კონტროლის გუნდი
(ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი)

[redacted] ქ. თბილისი ვე წიფლანაძის I შესახვევი

[redacted]

სამართალდამრღვევი: შპს „მიუნპაუზენი" ს/კ 240912713, იურიდიული მისამართი ქ.ხაშური მუნიციპალიტეტი სოფ. ძველი დიხეტლილი [redacted]
(მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში [redacted]
[redacted] ცხოვრებელი ადგილი; [redacted]
[redacted] მისამართი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები)

გამოვავლინე, რომ სასოფლოს კანონის დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი)
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2024 წლის 07 ივნისის №DES 62400000244 და 2024 წლის 11 ივნისის №DES 02400000248 ჯარიმებებით განახორციელებული შპს „მიუნპაუზენ"-ს მიერ ჩადენილი შემთხვევის შედეგად დადგინდა, რომ შპს „მიუნპაუზენ"-ს მიერ ის ფაქტ შესრულებული, 2005 წლის 30 დეკემბრის, საქონელდამცავი მეურნეობის მონაცემთა ბაზაში გაცემული №0029 ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის გეგმიდან ლიცენზია-გადაცემისნებართვა ჯარიმებით და კანონის დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმები. კერძოდ: ლიცენზიების მიერ ის ფაქტ შესრულებული „ცყარი სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და ჯარიმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" სასოფლოს მაჩაბლის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი შემდეგი სალიცენზიო ჯარიმები: „ჯ.ბ" ქვეკატეგორიის შესაბამისად ლიცენზიის ძალაში გაცემა სასოფლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ორკვირის და შესაბამის ინკასოებულ ფინანსურ მაჩვენებლის ნაგულისხმევ ფასად ფასიანი სასოფლოსა და სამეურნეოს ოლქის შესაბამ სგფ ინიცირება №087440 ოქმის დანართი №1-ში

რაც არის:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის 3-ე ნაწილის _____ დარღვევა,

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის 3-7 ნაწილის _____ დარღვევა.

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

მოწმეებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლით.

_____

(მოწმის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი)

_____

ჩამორთმეულ და დალუქულ იქნა შემდეგი ნივთები და დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

_____

_____

_____

**მოწმეები (თუ ისინი ესწრებიან):** _____

(ხელმოწერა)

_____

(ხელმოწერა)

**ოქმის შემდგენელი:** _____

(ხელმოწერა)

**სამართალდამრღვევი:** _____

(ხელმოწერა ან უარის აღნიშვნა)

**ოქმის ერთი პირი მივ** _____

(ოქმის ხელმოწერა)

დამკვეთი: სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

დამამზადებელი: შპს "პოლიგრაფისტი"
სფს-ს რეგისტრაციის №38-5320

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №087440 ოქმის დანართი №1**

შემოწმების შედეგად ლიცენზირებულ ტერიტორიაზე გამოვლინდა უკანონო ჭრები, ტერიტორიის დანაგვიანება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, **თუმცა შპს „მიუნჰაუზენი"-ს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაცია შესაბამისი ორგანოებისათვის არ მიუწოდებია;**

„დ)" ქვეპუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელი **ვალდებულია უზრუნველყოს დამტკიცებული სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება.** შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ **ლიცენზიის მფლობელს არ აქვს შესრულებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 ივლისის N 2-609 ბრძანებით დამტკიცებული მართვის გეგმით განსაზღვრული შემდეგი ვალდებულებები:**

- ✓ შპს „მიუნჰაუზენი"-ს არ აქვს განხორციელებული მონიტორინგის პროგრამის გრაფიკის შესაბამისად გასატარებელი ღონისძიებები;
- ✓ 2022-2024 წლებში რაიმე სახის სარეკლამო კამპანია ტურისტების და მონადირეების მოსაზიდად არ არის განხორციელებული;
- ✓ არ აქვთ მიწავაშლას და კარტოფილის ნათესები, რომლებიც განკუთვნილი უნდა იყოს ცხოველებისათვის დამატებითი საკვების უზრუნველსაყოფად;
- ✓ არ აწარმოებს ცხოველთა აღრიცხვის ჟურნალს ან/და დღიურს.

„თ)" ქვეპუნქტის და დამტკიცებული მართვის გეგმის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელი **ვალდებულია უზრუნველყოს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა,** ხოლო ხანძრის საფრთხის შემთხვევაში, მიიღოს ზომები მის სალიკვიდაციოდ და საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სათანადო ორგანოებს. თუმცა ინსპექტირებით დადგინდა, რომ **ლიცენზირებულ ტერიტორიაზე ქარისაგან მოთხრილ-მოტეხილი ხეებით ჩახერგილია გზის სხვადასხვა მონაკვეთი, რომელიც გაუწმენდავია, რაც ქმნის ხანძრის შემთხვევაში დამატებით საფრთხეს,** ასევე ლიცენზიანტს ტყის დაცვის მუშაკთათვის **არ აქვს შეძენილი რაციები საკომუნიკაციოდ** (მობილური ქსელი ტერიტორიის უმეტეს ნაწილში მიუწვდომელია);

„რ)" ქვეპუნქტის და დამტკიცებული მართვის გეგმის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელი **ვალდებულია განახორციელოს ტყის მოვლის, მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის ღონისძიებები, რომელთა უზრუნველსაყოფადაც უნდა განახორციელოს მუდმივი მონიტორინგი.** მავნებელ-დაავადებების მასობრივად გავრცელების შემთხვევაში, ინფორმაცია ოპერატიულად მიაწოდოს სამინისტროს. შემოწმების პროცესში **ლიცენზიის მფლობელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი** მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის მიზნით შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით განხორციელებული **ტერიტორიის მუდმივი მონიტორინგის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია;**

„ტ)“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ნარჩენები** (გარდა ხე-ტყის დამზადების ნარჩენების დადგენილი წესით განთავსების შემთხვევისა) **არ შეიძლება განთავსებულ იქნას** სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. შემოწმების შედეგად, ლიცენზირებულ ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები: X-390851, Y-4632168; X-392249, Y-4631665.) **ნანახი იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენები, კერძოდ პოლიეთილენის პარკები, პლასტმასის ჭურჭელის, კონსერვის ქილების და სხვა ნარჩენები.**

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

## ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004214

„15“ 09 2025 წ.                                                    ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ქ. თბილისი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ვ. ნიკოლაძის ქ. I შესახვევი №1.

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „[illegible]“ ს/ნ-240912713;
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

იურიდ. მის.: [illegible], სოფ. [illegible].
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

დირექტორი [redacted]; სამართალ-

მემკვიდრის [illegible] №0029 [illegible].

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: გარემოსდაცვითი

ზედამხედველობის დეპარტამენტის 2025 წლის 20 აგვისტოს
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

№DES 125000 50658 წერილ. [illegible] [illegible] №1.

გასატარებელი ღონისძიებები: [illegible]

2025 წლის 15 სექტემბრის №321/9054 წერილი. იხილეთ დანართი №2.

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: დანართი №1 - 131 გვერდი; დანართი №2 - 06 გვერდი.

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

[illegible] 66-ე მუხლის პირველი ნაწილი

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: [illegible]

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

# ხაშურის რაიონული სასამართლო

საქართველო, ხაშური 5700, კოსტავას ქ. №15, ტელ/ფაქსი: 8(368) 243038, 242239

**საქმე N 4-81-2024** **21 ივლისი, 2025 წელი**

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს
ქალაქი თბილისი, ვლადიმერ წითლანაძის I შესახვევი N1

თქვენი მოთხოვნის შესაბამისად გაცნობებთ, რომ ხაშურის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 14 აგვისტოს დადგენილება შპს ,,მიუნჰაუზენის" მიმართ შესულია კანონიერ ძალაში. გიგზავნით კანონიერ ძალაში შესულ N4-81-2024 დადგენილებას.

**დანართი:** ,,04" ფურცლად.

**პატივისცემით,**

**მოსამართლის თანაშემწე:**

საქმე N4-81-2024
(311510024009870570)

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

30 სექტემბერი, 2024 წელი ქ. ხაშური

**ქარელის მაგისტრატი სასამართლო**
მოსამართლე მევლუდ ხათაშვილი
**სხდომის მდივანი**

**ოქმის შემდგენი -** გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
**წარმომადგენელი -**

**ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი -** შპს „მიუნჰაუზენი"
**წარმომადგენელი -**

განიხილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, გათვალისწინებული საქართველოს ასკ-ის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილით და საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილით,

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2024 წლის 14 აგვისტოს შედგენილი N087440 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და საქმის მასალების მიხედვით, შპს „მიუნჰაუზენი" ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფლობს ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის ლიცენზიას სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით. საწარმოს გეგმიური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს „მიუნჰაუზენის" მიერ არ არის შესრულებული 2005 წლის 30 დეკემბრის N0029 ცხოველთა სამყაროთი სარგებლობის გენერალური ლიცენზიით გათვალისწინებული პირობები და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმები, კერძოდ: ლიცენზიანტის მიერ არ არის შესრულებული „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების" დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი შემდეგი

სალიცენზიო პირობები: „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აღკვეთოს და შესაბამის ორგანოებს მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ ფართობზე უნებართვო საქმიანობისა და სამართალდარღვევების შესახებ. ლიცენზირებულ ტერიტორიაზე გამოვლინდა უკანონო ჭრები, ტერიტორიის დანაგვიანება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, თუმცა ინფორმაცია შესაბამისი ორგანოებისათვის არაა მიწოდებული; „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს დამტკიცებული სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულება. შპს „მიუნჰაუზენს“ არ აქვს განხორციელებული მონიტორინგის პროგრამის გრაფიკის შესაბამისად გასატარებელი ღონისძიებები. 2022-2024 წლებში რაიმე სახის სარეკლამო კამპანია ტურისტების და მონადირეების მოსაზიდად არა განხორციელებული. არ აქვთ მიწავაშლას და კარტოფილის ნათესები, რომლებიც განკუთვნილი უნდა იყოს ცხოველებისათვის დამატებითი საკვებით უზრუნველსაყოფად. არ აწარმოებს ცხოველთა აღრიცხვის ჟურნალს ან/და დღიურს; „თ“ ქვეპუნქტის და დამტკიცებული მართვის გეგმის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა, ხოლო ხანძრის საფრთხის შემთხვევაში, მიიღოს ზომები მის სალიკვიდაციოდ და საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სათანადო ორგანოებს. ინსპექტირებით დადგინდა, რომ ლიცენზირებულ ტერიტორიაზე ქარისაგან მოთხრილ-მოტეხილი ხეებით ჩახერგილია გზის სხვადასხვა მონაკვეთი, რომელიც გაუწმენდავია, რაც ქმნის ხანძრის შემთხვევაში დამატებით საფრთხეს, ასევე, ტყის დაცვის მუშაკთათვის არ აქვს შეძენილი რაციები საკომუნიკაციოდ (მობილური ქსელი ტერიტორიის უმეტეს ნაწილში მიუწვდომელია); „რ“ ქვეპუნქტის და დამტკიცებული მართვის გეგმის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია განახორციელოს ტყის მოვლის, მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის ღონისძიებები, რომელთა უზრუნველსაყოფადაც უნდა განახორციელოს მუდმივი მონიტორინგი. შემოწმების პროცესში ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით განხორციელებული მუდმივი მონიტორინგის რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი; „ტ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნარჩენები არ შეიძლება განთავსებულ იქნას სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. შემოწმებისას ნანახი იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენები, კერძოდ, პოლიეთილენის პარკები, პლასტმასის ჭურჭელი, კონსერვის ქილები და სხვა ნარჩენები.

სასამართლოს სხდომაზე შპს „მიუნჰაუზენის“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ არის დიდი ტერიტორია და ვერ აკონტროლებენ ვინ როდის შედის და აბინძურებს ტერიტორიას. ქარმა და თოვლმა დაამტვრია ტოტები და ხის ნარჩენებითაც არის დანაგვიანებული ტერიტორია, რომლის დასუფთავებაც დიდთოვლიანობის გამო შეუძლებელია. ასევე, განმარტა, რომ ახორციელებენ ცხოველების აღრიცხვას, ცხოველები არიან საკმარისი რაოდენობით და მათი საკვებიც არის დათესილი და ახდენენ ცხოველების გამოკვებას. ასევე, განმარტა, რომ მისი მხრიდან მაქსიმალურად ხდება ტერიტორიის გაკონტროლება და შესაბამისი ზომების მიღება.

საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ითვლება, 2 კგ. ან 2 კგ-ზე მეტი მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება (გარდა ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა), რაც გამოიწვევს იურიდიული პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ამ კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სანქციის შეფარდება ხორციელდება ამ კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესებით.

სასამართლოს, მხარის განმარტებით და საქმეზე დართული წერილობითი მტკიცებულებებით (მათ შორის ფოტო მასალით), დადგენილად მიაჩნია, რომ შპს „მიუნჰაუზენის" მიერ დარღვეულია საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილის მოთხოვნები და უნდა დაედოს შესაბამისი სახდელი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ითვლება ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ან ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების დარღვევა, რაც გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნისა და იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ.

სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ შპს „მიუნჰაუზენის" მიერ არ არის შესრულებული ლიცენზიის პირობები და წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით დასტურდება სამართალდარღვევის ოქმში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის წარმომადგენელს არ წარმოუდგენია მის მიერ ახსნა-განმარტებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს „მიუნჰაუზენის" მიერ დარღვეულია საქართველოს ასკ-ის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები და დამრღვევს უნდა დაედოს აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული სახდელი.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე, 47-ე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე, 66-ე, 266-268-ე, 271-ე, 273-ე, 290-ე მუხლებით,

## დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „მიუნჰაუზენი" (პ/ნ 240912713) საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის ჩადენისათვის დაჯარიმდეს 1500 (ათასხუთასი) ლარით; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული

დარღვევის ჩადენისათვის 2000 (ორიათასი) ლარით; საბოლოო სახდელად შპს „მიუნჰაუზენს“ განესაზღვროს ჯარიმა 2000 (ორიათასი) ლარი, რაც ჩაირიცხოს სახელმწიფო ხაზინაში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 302003543;

2. დამრღვევს განემარტოს, რომ ჯარიმის გადახდის ვადაა დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან 07 დღე;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ასლის მხარისათვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) ქარელის მაგისტრატი სასამართლოს (ქარელი, ჭავჭავაძის ქუჩა N3) მეშვეობით.

მოსამართლე: მევლუდ ხათაშვილი

ასლი დედანთან სწორია
შესულია კანონიერ ძალაში
ხაშურის რაიონული სასამართლო
მაგისტრატი მოსამართლე
ქარელის მუნიციპალიტეტში
ხელმოწერა:
22. 04. 2025 20 წ.